მანანა ჯავახიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწაულების ანატომია შუა საუკუნეების საქართველოში (ევროპული ნარატივების მიხედვით)*

აბსტრაქტი

კვლევა ეხება სასწაულების ანატომიას მედიევალურ ეპოქაში და წარმოგვიდგენს ევროპულ წყაროებში (კერძოდ, ჰაიტონის, მარკო პოლოს, ჯონ მანდევილის, ჰილდესჰაიმის, პლანო კარპინის, მარინო სანუდოს ტექსტებში) საქართველოს შესახებ დაცულ ცნობებში მოთხრობილ სასწაულებს.

თუ XI-XII საუკუნეებში ლათინურენოვანი წყაროები საქართველოზე საუბრისას მეტწილად ზოგადი ინფორმაციით და ნახევრად მითოსური და ლეგენდარული ამბებით იფარგლებოდა, მოგვიანებით, მონღოლთა ბატონობის ეპოქაში, XIII-XIV საუკუნეებში საქართველოზე თხრობისას საქართველოს და ქართველების ხატი რეალურ კონტურებს იძენს, კონკრეტდება პოლიტიკური კონტექსტი, ლანდშაფტი, წეს-ჩვეულებები და სხვა კულტურულ-ანთროპოლოგიური ხასიათის ცნობები, მათ შორისაა სასწაულების ამსახველი პასაჟებიც.

კვლევის მიზანია გააანალიზოს, რა ხასიათისაა დასავლურ წყაროებში საქართველოში მომხდარი სასწაულების შინაარსი და ხასიათი, და რა ტიპის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ეს ტექსტები.

საკვანძო სიტყვები: *სასწაულები, წყვდიადის სამეფო, ჰაიტონი, ჯონ მანდევილი, ჰილდესჰაიმი, მარკო პოლო*

შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურასა და ცნობიერებაში რეალურ და მიღმურ სამყაროებს შორის საკმაოდ მყიფე, პირობითი ზღვარია. ქრისტიანობის წარმოშობასთან ერთად ჩნდება სასწაულების, როგორც ზებუნებრივი გამოვლინების, თემაც[1]. სასწაულების არქეტიპებია ბიბლიაში მოთხრობილი ღვთის სასწაულები: სამყაროს შექმნა, ქრისტეს დაბადება და აღდგომა, რაც

* სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საქართველოსა და სომხეთის პერცეფცია დასავლურ და აღმოსავლურ წყაროებში (შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალ დროში)“ (#FR-23-10274) ფარგლებში.

[1] ამ საკითხზე იხ.: Pierre-André Sigal, « L'Homme et le miracle dans la France médiévale », Cerf-Histoire, Paris, (1987): 349; Francis Dubost, Aspects fantastiques de la littérature narrative médiévale (XIIe- XIIIe siècles), l'Autre, l'Ailleurs, l'Autrefois, Paris, Champion, 2 vol. (1991): 1064 ; Claude Lecouteux, « Les Nains et les Elfs au Moyen Age », Imago, (2013): 224 ; Benedicta Ward, Miracles and the Medieval Minde : Theory, Record and Event (1000-1215), Philadelphia, (1982): 288-310. Светлана Лучицкая, Юлия Арнаутова, Словарь средневековой культуры, Москва, (2003): 575-578.

მთავარ სასწაულებად მიიჩნეოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ბიბლიურ სასწაულებს, კერძოდ, ლაზარეს აღდგინებას, ხუთი ათასი ადამიანის ხუთი პურით დაპურებას და ა.შ. სასწაულის არსებითი არქეტიპია აგრეთვე ის მოვლენებიც, რაც აპოკალიფსის ტექსტშია მოცემული.

დასავლეთ საქრისტიანოში ნეტარი ავგუსტინე სასწაულს (ლათ. miraculum)[2] ყოველდღიურ ცხოვრებაში ღვთის ძალაუფლების გამოხატულებად მიიჩნევდა, რომელიც ცხოვრების რუტინულ სვლას არღვევდა. სასწაული ურწმუნოებს რწმენას აძლევდა და მთავარ სასწაულს აზიარებდა: ღვთის მიერ სამყაროს შექმნის სასწაულს. ანსელმ კენტერბერიელმა, ბერნარ შარტრელმა და შუა საუკუნეების სხვა თეოლოგებმა სასწაულის ანატომია ჩამოაყალიბეს და მიიჩნევდნენ, რომ სამყაროში არსებობდა მოვლენები, რომლებიც ღვთაებრივ ძალას მიეწერებოდა და სასწაულად განიხილებოდა, თუმცა იყო ისეთი მოვლენებიც, რომლებიც ასევე ღვთის შემოქმედება იყო და ბუნებრივ კანონებს ემორჩილებოდა. საბოლოოდ, ქრისტიანობის ღირებულებათა სისტემა სასწაულს ზებუნებრივის კვალიფიკაციას ანიჭებს და მას ერთადერთ წყაროს - შემოქმედ ღმერთს უკავშირებს და ამგვარად ახდენს სასწაულის რაციონალიზაციას.

საინტერესოა, როდიდან გვხვდება შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებში საქართველოზე და ქართველებზე თხრობისას სასწაულებზე, ლეგენდებსა და ტოპოსებზე საუბარი? რით არის ამგვარი ტოპოსები საინტერესო? რა ინფორმაციას გვაძლევს ეს ნარატივები საქართვლოს შესახებ?

დასავლურ წყაროებში საქართველოზე მოცემულ ინფორმაციაში სასწაულებზე საუბარი განსაკუთრებით ინტენსიური მონღოლთა ეპოქაში გვხვდება, რასაც კონკრეტულმა ისტორიულმა კონტექსტმაც შეუწყო ხელი. კერძოდ, XIII საუკუნეში მონღოლების გამოჩენამ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობების განვითარებაში ახალი ეტაპი, ახალი პერსპექტივები წარმოაჩინა.

ევროპელი ჯვაროსნები იმედოვნებდნენ, რომ მონღოლებთან შესაძლო ალიანსი მუსლიმთა წინააღმდეგ მახლობელ აღმოსავლეთში ევროპელთა პოზიციებს გაამყარებდა და წმინდა მიწის დაბრუნებას შეუწყობდა ხელს. მონღოლებმა შეძლეს აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკებისა და სხვა მუსლიმური ქვეყნების დამარცხება, დაიპყრეს მთელი ცენტრალური აზია და თავს მოახვიეს დაპყრობილ ხალხებს ე.წ. Pax Mongolica – მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობები.

დასავლეთზე დიდი გავლენა მოახდინა მონღოლთა დაპყრობებმა, რადგან მათი თვალთახედვით ისინი ისლამის მთავარი მტრები იყვნენ. შესაბამისად, გაიზარდა ევროპელთა ინტერესი მონღოლთა და, ზოგადად, შორეული აღმოსავლეთის, აზიის მიმართ. ევროპელი ჯვაროსნების ინტერესის არეალი

---

[2] შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა სასწაულის აღმნიშვნელი ვრცელი სემანტიკური ველი - miracula-დან და mirabilia (mirari-ლათ. გაოცება)-დან დაწყებული შავი მაგიით დასრულებული. Miracula, ისეთი მოვლენაა, რომელშიც ბუნების ძალებზე ღმერთის ძალაუფლების დემონსტრირება ვლინდება, რომელიც ბუნების კანონების მიზეზ-შედეგობრიობის ჩვეულ წესს არღვევს. Mirabilia - ისეთი ბუნებრივი მოვლენებია, რომლებიც ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი იყო. Miracula და mirabilia-ს შორის ონტოლოგიური განსხვავება კლასიკურ შუა საუკუნეებში დაძაბული კამათის თემა იყო - ორივეს აერთიანებდა გაოცების გრძნობა - admiration. Mirbilia - უჩინარი მიზეზით წარმოიქმნებოდა და თან ცნობისმოყვარეობას აღძრავდა - curiositas – ახლის შეცნობის სურვილი. Ward, „Miracles and the Medieval Minde“, 214-216.

გაფართოვდა და მახლობელი აღმოსავლეთიდან შორეული აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვალა[3]. ევროპელი მოგზაურები, ვაჭრები, მისიონერები მონღოლთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს მიაშურებენ და საკმაოდ ვრცელ ნარატივებს გვიტოვებენ მონღოლთა კულტურისა და ისტორიის შესახებ. ერთი სიტყვით, მონღოლთა გამოჩენამ დასავლეთის ინტერესი აზიური ქვეყნების მიმართ უფრო ინტენსიური გახადა.

ევროპელი მონარქები და რომის პაპი ინოკენტი IV (1243-1254) მონღოლებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხს სვამენ და მათთან შესაძლო ალიანსის შედეგად მამლუქთა დამარცხებას, წმინდა მიწის დაბრუნებასა და მონღოლთა ქრისტიანობაზე მოქცევას გეგმავენ[4]. ასევე პაპობის ინტერესია აღმოსავლური ქრისტიანული თემების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება, რაც განპირობებული იყო მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისას (1204) ევროპელთა მხრიდან კონსტანტინოპოლის დაპყრობით გამოწვეული გაუცხოებით ბიზანტიელთა და ევროპელთა შორის.

პაპობისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო კონსტანტინოპოლის გავლენის სფეროში მყოფ ეკლესიებზე, მათ შორის ქართულ ეკლესიაზე, საკუთარი გავლენის გაძლიერება, რაც, შესაბამისად, მასზე კონსტანტინოპოლის ეკლესიის გავლენას შეასუსტებდა. ამიტომაც პაპობის მხრიდან აღმოსავლეთში კათოლიკური მისიების გაგზავნის ხელშეწყობა არა მხოლოდ ადგილობრივი მმართველების სიმპათიის მოპოვებას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ევანგელიზაციასაც შეუწყობდა ხელს. გარდა ამისა, კათოლიკური რომი იქ საკუთარ საეკლესიო წარმომადგენლობებსა და ეპარქიებს დააარსებდა და ადგილობრივი კულტურების გაცნობას შეძლებდა. ამასთანავე დასავლეთ საქრისტიანოში არსებობდა გულუბრყვილო რწმენა აზიურ კეთილდღეობასა და ფუფუნებაზე.

მონღოლთა დაპყრობების აღმწერ XIII-XIV საუკუნეების ლათინურენოვან ისტორიულ წყაროებში ჩნდება ინფორმაცია ქართველებსა და საქართველოზე, რადგან საქართველომ თავისი გეოგრაფიული მოცემულობის გამო, რამდენადაც ქრისტიანული და მონღოლური სამყაროების საზღვარზე იყო, ახალი დატვირთვა შეიძინა. მონღოლთა დაპყრობების პერიოდში საქართველო და ქართველები ევროპელებისათვის აღმოსავლეთში მდებარე უკვე ნაცნობი ქრისტიანული კულტურაა. შუა საუკუნეებში საქართველოს მიმართ ევროპელ მოგზაურთა, პილიგრიმთა თუ მისიონერთა ინტერესი ჯვაროსნული ეპოქიდან ჩნდება. თუმცა XI-XII საუკუნეების ევროპული წყაროებისაგან განსხვავებით, რომლებიც საქართველოს შესახებ მეტწილად ზოგადი, მითოლოგიზირებული, ერთი ავტორიდან მეორეში განმეორებადი, ერთმანეთისაგან ნასესხები ინფორმაციით

[3] ამ საკითხზე იხ.: Jean Richard, La Papauté et les Missions d'Orient au Moyen Age (XIIIe-XVe s.), Rome, École Française de Rome, (1998): 325; Steven Runciman, Histoire des croisades, Paris, Edition Tallandrier, (2013): 1279; René Grousset, Histoire des croisades et du royaume franc de Jérusalem, Paris, Perrin, (1936): 564; Claude Mutafian, Le royaume arménien de Cilicie, Paris, Éditions CNRS, (1995):157 ; Gérard Dédéyan (dir.), Histoire du peuple arménien, Toulouse, Privat, (2007): 991; Anna-Dorothee von den Brincken, Die "Nationes Christianorum Orientalium" im Verstandnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. Bis in die Halfte des 14. Jahrhunderts (=Kolner Historische Abhandlungen 22), Koln, (1973): 98.

[4] Richard, La Papauté et les Missions d'Orient, 17-63.

ხასიათდებოდა[5], XIII-XIV საუკუნეების ევროპულ წყაროებში უფრო კონკრეტული და დაზუსტებული, დეტალური ისტორიებია მოცემული საქართველოს შესახებ. ამ შემთხვევაში ინფორმაცია მონღოლთა ყაენების კარზე ავტორის უშუალოდ ნანახ ან გაგონილ ამბებს ეფუძნება. მაგალითად, დომინიკანელი ბერი სიმონ დე სენ-კანტენი უშუალოდ იმყოფებოდა საქართველოში, ფრანცისკანელი რუბრუკი ყაენის კარზე გაიცნობს ქართველებს (მხარგრძელების ოჯახს) და ა.შ. საქართველოს ხატი რეალურ კონტურებს იძენს, დაკონკრეტდა გეოგრაფიული მდებარეობა, პოლიტიკური კონტექსტი, წეს-ჩვეულებები და სხვა კულტურულ-ანთროპოლოგიური ხასიათის ცნობები. მათ შორისაა სასწაულების ამსახველი პასაჟებიც. ჰაიტონი, რუბრუკი, მარკო პოლო, ჯონ მანდევილი, პლანო კარპინი, მარინო სანუდო და სხვები თავიანთ ტექსტებში საქართველოზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან.

*

დავიწყოთ ჰაიტონ კორიკოსელის[6] ცნობებით. მისი *„აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი“* მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს XIII-XIV საუკუნეების ისტორიის, კერძოდ, მონღოლთა ეპოქის კონტექსტში უცხოელი მემატიანის მიერ საქართველოს სამეფოს ადგილისა და როლის წარმოჩენის თვალსაზრისით[7]. ჰაიტონის *„აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილი“* საქართველოს შესახებ არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, ქართველებს მებრძოლ ქრისტიანებად წარმოაჩენს, რომლებიც ჩართულნი არიან XIII-XIV საუკუნეების პოლიტიკურ პროცესებში და ევროპელთა მოკავშირეებად მოიაზრებიან.

საქართველოს სამეფოს შესახებ ჰაიტონის ტექსტის მეორე ნაწილში მოცემულია ცნობა დიდი სასწაულის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰამსენის[8] პროვინციაში.

---

[5] Manana Javakhishvili, « La représentation de la Géorgie et des Georgiens dans les sources narratives latines du Moyen Age », Le Muséon, vol. 134 (issue 1-2), (2021): 103-128.

[6] ჰეთუმ იგივე ჰაიტონ კორიკოსელი (დაახ.1230-1308) - სომეხი ისტორიკოსი, *„აღმოსავლეთის მიწის ისტორიათა ყვავილის“*[6]ავტორი. იგი იყო ოშინ I-ის, კორიკოსის მმართველის ვაჟი და კილიკიის სომხეთის მეფის ჰეთუმ I-ის (1213-1270) ძმისშვილი. ჰაიტონ კორიკოსელის ბიოგრაფიული ცნობებიდან ჩანს, რომ იგი აქტიურად იყო ჩართული იმ პერიოდის კილიკიის სომხეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ცხოვრებაში, რომის პაპსა და სხვა ევროპელ დიდებულებთან ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა. იგი იზიარებდა ევროპელი ჯვაროსნების სურვილს მონღოლებთან ალიანსის შესახებ მუსლიმთაგან წმინდა მიწის გამოხსნის მიზნით. ჰეთუმი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მონღოლებზე, აგრეთვე კილიკიის სომხეთის, ანტიოქიის სამთავროსა და საქართველოს შესახებ. მანანა ჯავახიშვილი, „ჰაიტონ კორიკოსელის დასავლური ორიენტაცია და საქართველო“, შუა საუკუნეების კვლევები,1, 2024, გვ. 39-46

[7] Hayton, « La fleur des histoires de la terre d'Orient, du prince Hayton», dans Danille Regnier-Bohler dir., « Croisades et Pèlerinages. Récits, chroniques et voyages en Terre Sainte XIIe-XVIe siècles », Paris, Éditions Robert Lafont, (1997): 809-878.

[8] ვ. კიკნაძის აზრით, ჰამსენში უნდა იგულისხმებოდეს სამცხე ან მუღანის ვაკის მიდამოები (მტკვრისა და არაქსის შესართავის მიდამოები), ვაჟა კიკნაძე, «უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ“, მნათობი, 6, თბილისი, (1986): 155-162.

„ამ პროვინციაში (ჰამსენი) ბატონობს ისეთი დიდი წყვდიადი, რომ ვერავის შეუძლია რაიმეს გარჩევა და არავის ჰყოფნის გამბედაობა შეაღწიოს ამ მიწაზე, რადგან უკან ვეღარ გამოაღწევს. ამ მიწის მცხოვრებლები ყვებიან, რომ ესმით ადამიანთა გმინვა, მამლების ყივილი, ცხენების ჭიხვინი და ერთი მდინარის დინების მიხედვით, რომელიც ამ პროვინციაზე გადის, შესამჩნევია იმის ნიშნები, რომ აქ ხალხი მართლაც ცხოვრობს“[9].

შემდეგ ჰაიტონი მოგვითხრობს ლეგენდას, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, სომხურ და ქართულ წყაროებში ნახა, სასტიკი იმპერატორის შესახებ, რომელიც ქრისტიანებს დევნიდა:

„ერთ დღეს მან (იმპერატორმა) ბრძანა, აზიის ყველა მცხოვრებს თაყვანი ეცა კერპებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა, ვინც არ დაემორჩილებოდა, უნდა დაეწვათ. ზოგიერთმა ქრისტიანმა მარტვილობა არჩია კერპთაყვანისცემას, სხვებმა სიკვდილისა და ქონების დაკარგვის შიშით თაყვანი სცა კერპებს, დანარჩენებმა მთებში გაქცევით უშველეს თავს. ზოგიერთმა კეთილშობილმა ქრისტიანმა, რომლიც მოღანის ველზე ცხოვრობდა, საბერძნეთში გაქცევა და ქონების დატოვება არჩია. იმპერატორი მათ ჰამპასში ჩაუსაფრდა და ბრძანა ყველა ქრისტიანის ნაკუწებად ქცევა. მათ კი დახმარებისათვის უფალ იესო ქრისტეს მიმართეს ვედრებით. უეცრად დიდი წყვდიადი ჩამოწვა, რომელმაც იმპერატორი და მისი მხლებლები დაბრმავა. ქრისტიანებმაც თავს უშველეს და მათ გაექცნენ. მაგრამ ბოროტნი ამ სიბნელეში დარჩნენ და, როგორც ამბობდნენ, ისინი იქ ქვეყნის აღსასრულამდე იქნებიანო“.[10]

ჰაიტონის წიგნის ერთ-ერთ გამოცემასა და ასევე ჯონ მანდევილთან დასახელებულია იმპერატორის სახელი საპორე, რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს ირანის შაჰი - შაბურ II (309-379)[11]. შაბურ II ქრისტიანების მდევნელად მიიჩნევა, რომელსაც ქრისტიანთა ზოროასტრიზმზე მოქცევა სურდა[12].

ჯონ მანდევილი, ასევე იოჰანეს ვონ ჰილდესჰეიმი (1310-1375) და მარინო სანუდო (1260-1338) ფაქტობრივად ზუსტად იმეორებენ იგივე ისტორიას ამ სასწაულის შესახებ.

ჯონ მანდევილი - ინგლისელი ექიმი, მათემატიკოსი, თეოლოგი, ავტორი იმ დროის პოპულარულის წიგნისა - ”ჯონ მანდევილის მოგზაურობის წიგნი“ (წიგნი შეიქმნა 1357-1371 წლებს შორის), სამოგზაუროდ ჯერ წმინდა მიწაზე გაემგზავრა, შემდეგ კი მოგზაურობა განაგრძო შორეულ აღმოსავლეთში, ინდოეთსა და მონღოლეთში. თხზულებაში ავტორი მოგვითხრობს საქართველოში ორმეფობის, საქართველოს სამეფოს გეოგრაფიული მდებარეობის, მისი საზღვრების,

---

[9] Hayton, « La fleur des histoires», 815.

[10] Hayton, « La fleur des histoires», 815.

[11] კიკნაძე, «უცხოელ მოგზაურთა ცნობები»158; თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 169; ჯავახია, „ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ“, 181.

[12] კიკნაძე, «უცხოელ მოგზაურთა ცნობები», 158.

მონღოლთა მიმართ ქართველთა დაუმორჩილებლობისა და ასევე იმ სასწაულის შესახებ, რომელიც აფხაზთა სამეფოში ხდება:

> *აფხაზთა სამეფოში დიდი სასწაული ხდება. ქვეყნის ერთპროვინციაში, საიდანაც სამი დღის სავალია და რომელსაც ჰანისონი[13] ეწოდება, სრულ წყვდიადშია ჩაფლული, ისე, რომ იქ ვერაფერს დაინახავ. ვერცერთი ადამიანი ვერ ბედავს იქ შესვლას. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ხანდახან ესმით ადამიანების ხმა და ცხენების ჭიხვინი, მამლების ყივილიც. მათ ზუსტად იციან, რომ იქ ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ არ იციან, თუ ვინ არიან ისინი. ამბობენ, რომ იქაური წყვდიადი ღვთის სასწაულია. ოდესღაც სპარსეთის დაწყევლილმა იმპერატორმა, რომელსაც საურესი[14] ერქვა, ქრისტიანებს დევნა დაუწყო, რათა მათ მისი კერპებისთვის მსხვერპლი შეწირათ; იგი თავისი ჯარით ყველგან ლაშქრობდა, რათა ქრისტიანები მოესპო. ამ ქვეყანაში იმ დროს ბევრი კეთილი ქრისტიანი ცხოვრობდა, რომელთაც მიატოვეს თავიანთი ქონება და საბერძნეთში გაიქცნენ. და როდესაც ისინი მუღანის დაბლობზე[15] იმყოფებოდნენ, შეხვდნენ ამ დაწყევლილ იმპერატორს თავის ჯართან ერთად, ხოლო იმპერატორმა ბრძანა ქრისტიანთა მოკვლა და ნაწილებად მათი აკუწვა. მაშინ ქრისტიანები მუხლებზე დაეცნენ და უფალს მიმართეს თხოვნით დახმარებოდა მათ. და მაშინ ჩამოეშვა დიდი შავი ღრუბელი და იმპერატორისა და მისი ჯარის თავზე დაეშვა. ამიერიდან იქიდან ვეღარ გამოდიან და ასე იქნება უკანასკნელ სამსჯავროამდე, ღვთის სასწაულით. ქრისტიანები იქიდან წავიდნენ, ხოლო მათი მტრები წყვდიადში დარჩნენ, გარშემორტყმულნი და განადგურებულნი"[16].*

წყვდიადის სამეფოს ლეგენდა ჯონ მანდევილმა, როგორც ჩანს, ჰაიტონ კორიკოსელისაგან ისესხა, თუმცა ჰაიტონი სხვაგვარად გვიყვება ამ ამბავს: იგი ქრისტიანებს უსაფრთხოდ ტოვებს წყვდიადში.

გერმანელი თეოლოგი იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი (გარდ. 1375) გვთავაზობს თხზულებაში - *წიგნი სამ წმინდა მეფეზე* - *ასევე* გვაწვდის ცნობებს საქართველოს შესახებ:

> *იმავე ქვეყანაში (საქართველოში) არის მიწა, რომელსაც ჰაიმისე[17]ჰქვია და ხუთი მილის სიგრძე-სიგანე აქვს. ამ მხარეზე ერთი მდინარე მიედინება. ამ მხარეში ისეთი სიბნელე და წყვდიადია, იმგვარადაა სავსე ნისლით, რომ არც საღამოს, არც რომელიმე დღეს და არც საერთოდ*

---

[13] იგივე ჰამსენი ჰაიტონთან (მ. ჯ.)

[14] საურესი, სავარაუდოდ, არის სპარსეთის შაჰი შაბურ II (309-379), რომელიც ქრისტიანებს დევნიდა. ჯავახია, „ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ", 181.

[15] მუღანის დაბლობი - მუღანის ვაკე, მტკვრ-არაქსის დაბლობის ნაწილი მტკვრისა და არაქსის შესართავის სამხრეთით.

[16] Christiane Deluz, „Livre de Jehan de Mandeville, une géographie au XIVe siècle", Louvain-la-Neuve, Université Catholique de Louvain, coll. « Publications de l'Institut d'études médiévales. Textes, études, congrès » (no 8), (1988): 511. ტექსტი თარგმნა მ. ჯავახიშვილმა.

[17] იგივე ჰამსენი ჰაიტონთან.

წლის განმავლობაში მზე არ იხილვება. იქ მცხოვრები ხალხი ამბობს, რომ აქეთა და იქეთა მხარეს შორის მხოლოდ ერთი ისრის გასროლა მანძილია. ის მხარე იმდენად ბნელია და იმგვარადაა სავსე ნისლით, რომ არავის შეუძლებელია არც შესვლა და არც გამოსვლა. მაგრამ იქიდან ისმის ხოლმე ადამიანთა ხმები, მამლების ყივილი და ცხენების ჭიხვინი, აგრეთვე იქიდან გამომავალ მდინარესაც ატყვია ადამიანთა ცხოვრების კვალი.

იმ დროს, როდესაც წარმართთა წინასწარმეტყველი მუჰამედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომაელთა იმპერატორი გახლდათ ჰერაკლე, იმპერატორი ყველა ქრისტიანს აკვლევინებდა. მაშინ ბევრი ქრისტიანი (ქართველები) მთებში გაიქცა. წარმართები მოვიდნენ და ალყაში მოაქციეს ქრისტიანები, რომელთაც მთაზე ეპოვათ თავშესაფარი, მაგრამ გასაქცევი არსაით ჰქონდათ. მაშინ ქრისტიანებმა შველა სთხოვეს ღმერთს და სამ წმინდა მეფეს, რომელთაც ასე აფასებენ აღმოსავლეთში, რომ ღმერთი მათ სამი წმინდა მეფის ღვაწლის და დამსახურების გამო დახმარებოდა. მათ მიიღეს ნანატრი შველა. წარმართები თავიანთი ცოლებით, ბავშვებით და პირუტყვით აღმოჩდნენ იმ ადგილას, საიდანაც ცოტა ხნის წინ ქრისტიანები გაიქცნენ. მაშინ ის მხარე ბნელმა ნისლმა და წყვდიადმა დაფარა ისე, რომ მას მერე არც იქიდან გამოსულა ვინმე და არც აქედან შესულან შიგნით ადამიანები.[18]

წყვდიადის სამეფოს ტოპოსი, როგორც ქრისტიანული დიდი სასწაული, როგორც ვხედავთ, არაერთ ევროპულ წყაროშია მოთხრობილი.

პლანო კარპინი (1182-1252), იტალიელი მოგზაური, დიპლომატი, ფრანცისკანელი ბერი, პირველი ევროპელი, რომელიც მონღოლთა იმპერიას ესტუმრა და შექმნა წიგნი -„ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“ *ანალოგიურ ისტორიას იმეორებს კერგისების შემთხვევაში*[19].

ზოგადად, შუა საუკუნეების მოგზაურთა ტექსტებში ხშირად ვნახავთ ლეგენდარულ, ეგზოტიკურ, მისტიკურ თუ ზღაპრულ ისტორიებს მკითხველთა ფანტაზიის გამოსაკვებად და ინტერესის გასაღვიძებლად. თუმცა, ხშირად ეს ლეგენდები რეალური ქვეყნებისა და რეალური პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის ამსახველია. გერმანელი მეცნიერის ანა ვონ დენ ბრინკენის აზრით, ლეგენდა დიდი სასწაულის შესახებ უკავშირდება პლანო კარპინისა და მარკო პოლოს მიერ მოთხრობილ მსგავს ისტორიას, სადაც ხალხი წყვდიადში ჩინგის ყაენის სისასტიკეს ემალებოდა[20]. საქართველოს შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მონღოლთა ბატონობის ეპოქასთან. დიდი სასწაული ამ შემთხვევაში სწორედ ამ

---

[18] იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი, ალექსანდრე თვარაძე, „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში : XII-XVI საუკუნეთა ისტორიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე“, თბილისი, (2004):166-67.

[19] პლანო კარპინი, „ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“, თარგმნა გ. ქიქოძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, (1942):25.

[20] Den Brincken, Die „Nationes Christianorum Orientalorum“, 117. ბეჟან ჯავახია, „ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა წიგნებში : (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდევილე)**“,** საისტორიო კრებული: წელიწდეული, ტ.1. თბილისი, (2011):182.

ბატონობის შიშსა და, შესაბამისად, რელიგიური იდენტობის დაკარგვის შიშსაც გამოხატავს. ამ პერიოდის ლათინ ავტორთა უმეტესობა სწორედ ქართველთა მონღოლების უღელქვეშ ყოფნას და იმავდროულად მათ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, დაუმორჩილებლობას აღნიშნავს.

განსხვავებულია მარკო პოლოს (1254-1324) - ვენეციელი ვაჭრისა და მოგზაურის, ერთ-ერთი პირველი ევროპელთაგანის, რომელმაც აბრეშუმის გზის გავლით ჩინეთს მიაღწია, საქართველოში სასწაულის არსებობის აღმწერი ტექსტი თხზულებაში - *ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის*:

> *აქ არის წმინდა ლეონარდის მონასტერი[21], სადაც შემდეგ სასწაულს ვხედავთ: მონასტრის წინ მთის შუაგულიდან გადმოდის წყლის ნაკადი და იქვე გუბდება ტბად, სადაც არანაირი თევზი არ მოიპოვება არანაირ დროს, გარდა დიდმარხვისა. თევზჭერა დიდმარხვის პირველ დღეს იწყება და დიდ შაბათამდე გრძელდება და თევზიც უხვადაა. ოღონდ, ვერცერთს ვეღარ დაიჭერენ მომავალ დიდ მარხვამდე[22].*
>
> *უნდა იცოდეთ, რომ ამას, რის შესახებაც მოგახსენეთ, ჰქვია გელაქუნის ზღვა. მისი გარშემოწერილობა შვიდასი მილია. იგი ყველა ზღვიდან 12 დღის სავალზე მდებარეობს. მასში მრავალი დიდი მდინარე ჩაედინება. გენუელი ვაჭრები ამ ზღვაზე თავიანთი ნავებით დაცურავენ. იქიდან მოდის აბრეშუმი, რომელსაც „გელე“ ჰქვია[23].*

რაც შეეხება მარკო პოლოს ტექსტს საქართველოს შესახებ, ლეონარდის მონასტრის სასწაული აიხსნება ევროპელთათვის კასპიის ზღვის გაცნობით, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მათი თვალსაწიერი აღმოსავლეთის მიმართულებით.

ამგვარად, მონღოლთა ეპოქის ევროპელი ავტორები (ჰიტონი, მანდევილი, ჰილდესჰაიმელი) საქართველოში სასწაულების თხრობისას ბოროტი ძალების მიერ (მონღოლების) დანერგილ შიშსა და კერპთაყვანისმცემლობის სასარგებლოდ ქრისტიანობაზე უარის თქმაზე მოგვითხრობენ, რაც საქართველოში მონღოლთა დაპყრობების ფონზე არსებულ სისასტიკეს უნდა უკავშირდებოდეს, ასევე ქართველთა დაუმორჩილებლობას და ბრძოლას მონღოლთა წინააღმდეგ. სწორედ ეს კონტექსტი უნდა იყოს დიდი სასწაულის - წყვდიადის სამეფოს სასწაულის კონსტრუირების მიზეზი, სადაც უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ

---

[21] უცნობია, რომელ მონასტერზე ან წმინდანზე საუბრობს მარკო პოლო. ნ. ლადარიას კომენტარით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სახელი ლეონარდი ელენეს და ნინოს სახელთა ფონეტიკურ კონტამინაციას წარმოადგენს. თუმცა, მიაჩნია, რომ მარკო პოლოს მცდარად ახსოვს ცნობები იმ ქვეყანაზე, სადაც არ ყოფილა. მარკო პოლო, ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის, მთარგმნელი ნ. ლადარია, თბილისი, (2007): გვ.15.

[22] ამ ლეგენდის საფუძველი სავარაუდოდ არის სახარებაში მოცემული სასწაული, როდესაც მოციქულებმა უამრავი თევზი დაიჭირეს.

[23] აღსანიშნავია, რომ საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე კასპიის ზღვა უკვე ნაცნობია ევროპელებისათვის. გენუელები უკვე X ს-დან ითვისებენ კასპიის ზღვის აუზს: შავი და აზოვის ზღვების გავლით, შემდეგ დონსა და ვოლგას შორის სახმელეთო გზით. ეს გზა ევროპას მათთვის ნაცნობი სივრციდან პირდაპირ აკავშირებდა ცენტრალურ აზიასთან. მარკო პოლოს მამა და ბიძაც ამ რეგიონში მოძრაობდნენ - რითაც უნდა აიხსნას მარკო პოლოს დეტალური ცნობები საქართველოზე (ნ. ლადარიას კომენტარი), მარკო პოლო, ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის, გვ.15.

არსებული უკმაყოფილება, პირველ რიგში, რელიგიური იდენტობის დაკარგვითაა განპირობებული, შუა საუკუნეების იდენტობის უმთავრესი მარკერით.

დამოწმებული ლიტერატურა - References

თვარაძე, ალექსანდრე. *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე*. თბილისი, 2004.

კარპინი, პლანო. „ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ.“ თარგმნა გ. ქიქოძემ. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვეთი II. თბილისი, 1942.

კიკნაძე, ვაჟა. „უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ.“ *მნათობი*, 6, 1986: 155-162.

პოლო მარკო. *ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის.* (თარგმ. იტალ., შესავ. სტატ. და კომენტ. ნოდარ ლადარია). თბილისი: GAMS პრინტი, 2007.

ჯავახია, ბეჟან. „ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა წიგნებში: (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდევილე).“ *საისტორიო კრებული*, წელიწდეული, ტ.1. თბილისი, 2011.

ჯავახიშვილი, მანანა. „ჰაიტონ კორიკოსელის დასავლური ორიენტაცია და საქართველო.“ *შუა საუკუნეების კვლევები*, 1. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024: 39-46.

Den Brincken, Anna-Dorothee von. Die “Nationes Christianorum Orientalium” im Verstandnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. Bis in die Halfte des 14. Jahrhunderts (=*Kolner Historische Abhandlungen* 22), Koln, (1973).

Dédéyan, Gérard (sous la dir. de). *Histoire du peuple arménien*. Toulouse, 2007.

Deluz, Christiane. « Livre de Jehan de Mandeville, une géographie au XIVe siècle. » Louvain-la-Neuve, Université Catholique de Louvain, coll. « *Publications de l'Institut d'études médiévales. Textes, études, congrès* » (no 8), (1988).

Dubost, Francis. *Aspects fantastiques de la littérature narrative médiévale (XIIe- XIIIe siècles), l'Autre, l'Ailleurs, l'Autrefois*. Paris: Champion, 1991.

Hayton, « La fleur des histoires de la terre d’Orient, du prince Hayton. » Dans *Croisades et Pèlerinages. Récits, chroniques et voyages en Terre Sainte XIIe-XVIe siècles*. Sous la dir. de D. Regnier-Bohler. Paris : Editions Robert Laffont, 1997.

Grousset, René. *Histoire des croisades et du royaume franc de Jérusalem*. Paris : Perrin1936.

Lecouteux, Claude. *Les nains et les elfs au Moyen Age*. Paris : Imago, 2013.

Mutafian, Claude. *Le royaume arménien de Cilicie*. Paris : Éditions CNRS, 1995.

Richard, Jean. *La papauté et les missions d’Orient au moyen age (XIIIe-XVe ss.)*. Rome : École Française de Rome,1998.

Runciman, Steven. *Histoire des croisades*. Paris : Éditions Tallandier, 2013.

Sigal, Pierre-André. *L’homme et le miracle dans la France médiévale*. Paris : Cerf-Histoire, 1987.

Ward, Benedicta. *Miracles and the medieval mind: theory, record, and event, 1000-1215.* Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1982.

Javakhishvili, Manana. « La représentation de la Géorgie et des Georgiens dans les sources narratives latines du Moyen Age. » *Le Muséon*, vol. 134 (issue 1-2), (2021) : 103-128.

Лучицкая, Светлана, Арнаутова, Юлия. *Словарь средневековой культуры*. Под ред. А. Я. Гуревича. Москва: Российская политическая энциклопедия, 2003.